

## ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

### დადგენილება N14

2012 წლის 27 მარტი

ქ. ხოზი

### ხოზის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების განსაზღვრის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-3<sup>1</sup> და მე-5 ნაწილების, 204-ე მუხლის პირველი-მე-3 ნაწილების, 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „3<sup>2</sup>“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს: (N2 28.02.2013)

1. შემოღებულ იქნეს ხოზის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადი და მისი განაკვეთები განისაზღვროს დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხოზის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების განსაზღვრის თაობაზე“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 31 მარტის N33 დადგენილება.
3. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2012 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ჭოხონელიძე

**ადგილობრივი (ქონების) გადასახადის განაკვეთები ხოზის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე**

**მუხლი 1.**

საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების ღირებულების 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება, რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში მხოლოდ უძრავ ქონებასთან მიმართებით უნდა გაიზარდოს:

- ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 3-ჯერ;
- ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 2-ჯერ;
- გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე - 1.5-ჯერ;
- დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს - 3-ჯერ.

**მუხლი 2.**

1. საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის (გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) ლიზინგით გაცემულ დასაბეგრი ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1 პროცენტი.

2. სალიზინგო კომპანიისთვის ლიზინგით გაცემულ დასაბეგრი ქონებაზე წლიური გადასახადი ლიზინგის მთელი პერიოდის განმავლობაში შეადგენს მის მიერ დასაბეგრი ქონების ლიზინგით პირველად გაცემის მომენტისათვის არსებული საბალანსო საწყისი ღირებულების 0.6 პროცენტს.

**მუხლი 3.**

ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთებია:

- ა) საგადასახადო წლის განმავლობაში 100000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0,2 პროცენტი;
- ბ) საგადასახადო წლის განმავლობაში 100000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0,8 პროცენტი.

**მუხლი 4. (N2 28.02.2013)**

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ტყის მიწების ერთ ჰექტარზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთებია:

- ა) სახნავისა (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბაღე, საბოსტნე) და საკარმიდამოსთვის - 76 ლარი;
- ბ) ბუნებრივი და გაკულტურებული სათიბებისთვის - 20 ლარი;
- გ) ბუნებრივი და გაკულტურებული სამოვრებისთვის - 16 ლარი.“;
- გ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლი ამოღებულ იქნეს

**მუხლი 5.**

ტყის მიწებისათვის, რომლებიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, ერთ ჰექტარზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია 38 ლარი.

**მუხლი 6.**

ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე გამოყოფილი მიწების ერთ ჰექტარზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია 3 ლარი.

**მუხლი 7. (N7 25.02.2015)**

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთები ქალაქ ხობსა და ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებში განისაზღვროს შემდეგი ოდენობით ლარებში:

N	დასახელება	ტერიტორიული კოეფიციენტი	საბაზისო განაკვეთი 1 კვ.მ-ზე (ლარი)	წლიური გადასახადის განაკვეთი 1კვ.მ-ზე(3x 4)
1	ქ. ხობი	1,5	0,24	0,36
2	ხობის მუნიციპალიტეტის სოფლები	1,5	0,24	0,36“

**„მუხლი 7<sup>1</sup> (N24 14.09.2012)**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „32“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, შესაბამისი დასაბეგრი ობიექტის მიხედვით, ქონების გადასახადისგან გათავისუფლდეს:

- ა) საცხოვრებელ სახლზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები;
- ბ) ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები;

**მუხლი 8.**

ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი და შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებული ქონების სახეები დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 205-ე და 206-ე მუხლებით.

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ჭოხონელიძე